შშმ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების შრომითი ინტეგრაციის სოციალურგი საწარმოების გაძლიერების ხელშეწყობა.

CSRDG-სა და ბაზისბანკის ერთობლივი ინიციატივა.

1. ინფორმაცია თანამშრომლობის შესახებ

„საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრსა (CSRDG)" და "ბაზისბანკს" შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანიც საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების გაძლ

იერება და ბაზისბანკის მხრიდან სოციალური მეწარმეობის კონცეფციის განვითარების ხელშეწყობაა როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმებით.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ერთ-ერთი კომპონენტი შეზღუდული შესაძლებლობების და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოს მხარდაჭერა და გაძლიერებაა.

CSRDG და ბაზისბანკი პატივს სცემენ თანასწორობას და ადამიანის ღირსებას, მაღალ მოქალაქეობრივ და კორპორაციულ პასუხისმგებლობას, პროფესიონალიზმს, ურთიერთთანამშრომლობასა და სოლიდარობას, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამას CSRDG 2009 წლიდან ახორციელებს. ბაზისბანკთან არსებული, არაერთჯერადი და მრავალკომპონენტიანი მხარდაჭერის მექანიზმის განვითარება კი შესაძლებლობას იძლევა ქვეყანაში მეტი სოციალური, დადებითი გავლენის შექმნისათვის.

ინფორმაცია ბაზისბანკისა და სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) შესახებ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდებზე bb.ge და csrdg.ge

2. სამიზნე სოციალური საწარმოები და მხარდაჭერის კონკურსში მონაწილეობის უფლება

საგრანტო კონკურსის ფარგლებში მხარდაჭერის მიღება შეუძლიათ მოქმედ სოციალურ საწარმოებს, რომლებიც მიზნად ისახავენ შშმ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციას საზოგადოებაში, მათი დასაქმებისა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდით ან/და სხვა შესაძლებლობების განვითარების გზით. ამ მიზნის მქონე სოციალური საწარმო შესაძლოა

(1) აწარმოებდეს პროდუქტს;
(2) სერვისს ან
(3) სოციალურ სერვისს.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში მოქმედ სოციალურ საწარმოს, რომელიც:

- სულ მცირე 1 წელია ეწევა სამეწარმეო საქმიანობას;
- მისი შემოსავლების მინიმუმ 50% არის მიღებული სამეწარმეო საქმიანობიდან[1];
- საქმიანობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ა(ა)იპ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების (შპს), ან კოოფერატივის იურიდიული ფორმით, და რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული სოციალური მისია და ეს მისია დეკლარირებულია საწესდებო/სადამფუძნებლო დოკუმენტებში;
- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სოციალური საწარმოს მმართველი გუნდის წევრები და განმახორციელებელი პირები უნდა იყვნენ 18 წელს გადაცილებული პირები.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვს:

- საქართველოს მასშტაბით მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე საწარმოებს, რომლებიც სარგებლობენ „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG)" სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებით.
- ფიზიკურ და იურიდიულ სუბიექტებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მონაწილობის კრიტერიუმებს.

3. შეფასების კრიტერიუმები

საგრანტო კონკურსში შემოსული განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

N	საპროექტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
1	სოციალური საწარმოს არსებული ოპერაციების მიზანშეწონილობა/თავსებადობა ბაზისბანკისა და CSRDG-ის თანამშრომლობის მიზანთან	25
2	სოციალური საწარმოს გავლენა სამიზნე ჯგუფის წევრებზე (შშმ და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებზე)	25
3	პროექტის ფარგლებში მოთხოვნილი აქტივობების პოტენციური გავლენა საწარმოს საქმიანობაზე და, შესაბამისად, სამიზნე ჯგუფის წევრების მდგრად კეთილდღეობაზე	40
4	სოციალური საწარმოს მდგრადობის პროცესში მოთხოვნილი აქტივობების პოტენციური გავლენა	10
	ჯამი	

[1] შერჩეულ სოციალურ საწარმოს მოეთხოვება „მოგება ზარალის უწყისის" ცხრილის შევსება, რომელსაც კონტრაქტის გაფორმებამდე წარუდგენს სოციალურ საწარმოს დონორი ორგანიზაცია.

4. კონკურსის ფინანსური საკითხები და დასაშვები ხარჯები

სოციალური საწარმოს მხარდასაჭერად მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 5’000 ლარს.

საგრანტო თანხის ხარჯვა ნებადართულია შემდეგი მიზნებისთვის და საქმიანობებისთვის:

- კაპიტალური აქტივების შეძენა (საწარმოო დანადგარები, საოფისე მოწყობილობები, ტექნიკა და ა.შ.);
- მასალა/ნედლეულის შეძენა;
- მარკეტინგული ღონისძიებები და საპოპულარიზაციო მასალების დამზადება;
- ჰონორარის გაცემა იმ მოწვეულ სპეციალისტებზე (ბუღალტრის მომსახურება, ტრენერები, ბენეფიციარების ანაზღაურება და ა.შ.), რომელთა ექსპერტული მხარდაჭერაც აუცილებელია საწარმოს გამართული ფუნქციონირებისათვის, მოთხოვნილი საგრანტო თანხის არაუმეტეს 25%-სა.
- ონლაინ საქმიანობის მექანიზმების დანერგვისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა (ტელეფონები, კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, ონლაინ კონფერენციების სერვისების გამოწერა და სხვა.);
- სოციალური საწარმოს ონლაინ რესურსებისა და ციფრული ქსელების მხარდაჭერა.

საგრანტო კონკურსის პროექტის შეფასებასა და დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს ბაზისბანკისა და CSRDG-ის გუნდის წევრებისგან დაკომპლექტებული კომისია.

გამონაკლის შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებისას შესაძლებელია დაფინანსდეს:

- სარემონტო სამუშაოები, საგრანტო თანხის არაუმეტეს 20%-სა.
- უძრავი ქონების შესყიდვა.

საგრანტო თანხის ხარჯვა ნებადართული არ არის შემდეგი მიზნებისთვის;

- საწარმოს მენეჯმენტის ხელფასის გაცემა;
- პოლიტიკური კამპანიების და საქმიანობების განხორციელება;
- საერთაშორისო მგზავრობა;
- ჰუმანიტარული აქტივობები.

5. განაცხადის წარდგენა

კონკურსში მონაწილეობისთვის წარსადგენი დოკუმენტები:

- სრული განაცხადის ფორმა (ვორდის დოკუმენტი);
- ბიუჯეტის და აქტივობების ფორმა (ექსელის დოკუმენტი);
- ორგანიზაციის ხელმოწერილი წესდება;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- პროექტში მონაწილე პირთა პროფესიული რეზიუმეები ქართულ ენაზე;

სოციალური საწარმოს განაცხადის ფორმის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულად, ელ. ფოსტის საშუალებით, მისამართზე: se@csrdg,ge

გთხოვთ განაცხადის გამოგზავნისას სათაურში მიუთითეთ: სოციალური საწარმოს გაძლიერების ინიციატივა ბაზისბანკისა და CSRDG-ს მიერ.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა: 2023 წლის 10 სექტემბერი, 18:00 სთ.

განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს თანდართული ფორმის შესაბამისად. არასრულად, ან განსხვავებული ფორმით შევსებული და დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება.